უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი (SDS).

ალქიდური შავი ემალი

შედგენილია რეგულაცია (EC) No 1907/2006 (REACH) დანართი II-ის მიხედვით, შესწორებული რეგულაციით (EU) 2020/878. რედაქცია 1.1, თარიღი: 03.02.2026

სექცია 1. ნივთიერების/ნარევისა და კომპანიის იდენტიფიკაცია

1.1 პროდუქტის იდენტიფიკატორი

სავაჭრო დასახელება	ალქიდური შავი ემალი (Ral 9005)
ტპროდუქტის ტიპი	ნარევი (ხსნარზე დაფუძნებული ალქიდური ემალი)

1.2 რელევანტური იდენტიფიცირებული გამოყენება და უკუნაჩვენები გამოყენება

იდენტიფიცირებული გამოყენება	ლითონისა და ხის ზედაპირების დეკორატიული და დამცავი შეღებვა ფუნჯით, ვალიკით ან შესხურებით.
არარეკომენდებული გამოყენება	გამოყენება, რომელიც ზემოთ არ არის მითითებული; საკვებთან ან სასმელ წყალთან უშუალო კონტაქტისთვის განკუთვნილი ზედაპირები.

1.3 მომწოდებლის მონაცემები

კომპანია	LTD DASI PLUS ს/კ 404614903
მისამართი	თბილისი მაჭავარიანის ქ. 5, თბილისი
ტელეფონი	+995 599 805 058
ელ. ფოსტა	ltddasiplus@gmail.com
ვებ-გვერდი	ecopaint.ge
SDS-ზე პასუხისმგებელი პირი	Ishak Akkavak

1.4 საგანგებო სატელეფონო ნომერი

საგანგებო ნომერი	ზოგადი საგანგებო სამსახურები: 112

სექცია 2. საშიშროებათა იდენტიფიკაცია

2.1 ნივთიერების ან ნარევის კლასიფიკაცია (რეგულაცია (EC) No 1272/2008, CLP)

კლასი და კატეგორია	საშიშროების ფრაზა	სტატუსი
Flam. Liq. 3	H226 — აალებადი სითხე და ორთქლი	გაანგარიშებითი; დასადასტურებელია ანთების ტემპერატურის გაზომვით (≥ 23 და ≤ 60 °C)
STOT SE 3	H336 — შეიძლება გამოიწვიოს ძილიანობა ან თავბრუსხვევა	White spirit (~11%) და ალქიდის გამხსნელი (~13,5%) ჯამში ≈ 24,5% (ზღვარი 20%).

2.2 ეტიკეტის ელემენტები (CLP)

პიქტოგრამა	GHS02 (ალი). GHS07 (ძახილის ნიშანი) H336.
სიგნალური სიტყვა	ყურადღება

საშიშროების ფრაზები	H226 — აალებადი სითხე და ორთქლი.
დამატებითი ინფორმაცია	EUH066 — განმეორებითმა კონტაქტმა შეიძლება გამოიწვიოს კანის გამოშრობა ან გაბზარვა. EUH208 შეიძლება გამოიწვიოს ალერგიული რეაქცია.
სიფრთხილის ფრაზები	P210 — შორს დაიჭირეთ სითბოსგან, ცხელი ზედაპირებისგან, ნაპერწკლებისგან, ღია ცეცხლისგან. მოწევა აკრძალულია. P233 — შეინახეთ ჭურჭელი მჭიდროდ დახურული. P280 — ატარეთ დამცავი ხელთათმანები და დამცავი სათვალე/სახის დამცავი. P303+P361+P353 — კანთან კონტაქტისას: დაუყოვნებლივ გაიხადეთ დაბინძურებული ტანსაცმელი; ჩამოიბანეთ კანი წყლით. P370+P378 — ხანძრის შემთხვევაში ჩასაქრობად გამოიყენეთ ქაფი, CO2 ან ფხვნილი. P501 — შიგთავსი/ჭურჭელი გადააბარეთ ნარჩენების დამუშავების ლიცენზირებულ ობიექტს ადგილობრივი მოთხოვნების შესაბამისად.
ეტიკეტზე მითითებული კომპონენტები	ნახშირწყალბადული გამხსნელი; ბუტანონის ოქსიმი; კობალტის კარბოქსილატი

2.3 სხვა საშიშროებები

- ორთქლი ჰაერზე მძიმეა, გროვდება დაბალ ადგილებში და ჰაერთან ქმნის ფეთქებად ნარევს.
- ალქიდით დასველებული ჩვრები, ქაღალდი, ფილტრები და შლიფვის ნარჩენები შეიძლება თვითგახურდეს და თვითაალდეს (უჯერი ცხიმოვანი მჟავების დაჟანგვის გამო).
- შესხურებისას და შლიფვისას წარმოქმნილი ნისლი/მტვერი გაღიზიანებს სასუნთქ გზებს.
- PBT/vPvB: ნარევი არ შეიცავს PBT ან vPvB ნივთიერებებს ≥ 0,1%
- ენდოკრინულ სისტემაზე მოქმედი თვისებები: ≥ 0,1% კონცენტრაციით ასეთი კომპონენტი არ არის იდენტიფიცირებული

სექცია 3. შემადგენლობა/ინფორმაცია კომპონენტებზე

3.2 ნარევები

კომპონენტი	CAS	შემცველობა, წონ.%	კლასიფიკაცია (CLP)
გრძელზეთიანი ალქიდური ფისი L65802-OW (70% მყარი)	—	≥ 25 – < 50	ხსნარი ნახშირწყალბადულ გამხსნელში (დაახლ. 30%). ეტიკეტზე: Xn (მავნე) და აალებადი.
კალციუმის კარბონატი (კალციტი)	471-34-1	≥ 25 – < 50	
ნავთი White spirit	8008-20-6	≥ 10 – < 25	Flam. Liq. 3 H226; Asp. Tox. 1 H304; STOT SE 3 H336.
რკინის ოქსიდი, შავი (Fe3O4)	1317-61-9	≥ 5 – < 10	არ არის კლასიფიცირებული

კომპონენტი	CAS	შემცველობა, წონ.%	კლასიფიკაცია (CLP)
ნახშირბადის შავი (Printex U)	1333-86-4	≥ 5 – < 10	(CLP)
ბუტანონის ოქსიმი	96-29-7	≥ 0,1 – < 1	მომწოდებლის ეტიკეტი: H312, H317, H318, H351. ნარევში კონცენტრაცია დაბალია კლასიფიკაციის ზღვრებზე, ამიტომ ეტიკეტზე EUH208.
კალციუმის საშრობი EGEDry Calcium Oct 4 WS (4% Ca)	136-51-6 (კალციუმის ბის(2-ეთილჰექსანოატი)) 64742-82-1 (ნაფტა, ჰიდროდესულფირებული მძიმე)	≥ 0,1 – < 1	პროდუქტის ეტიკეტი: H226, H360D, H372, H318, H411, H336, EUH066.
ცირკონიუმის საშრობი EGEDry Zirconium Oct 12 WS (12% Zr)	64742-82-1 (ნაფტა)	≥ 0,1 – < 1	პროდუქტის ეტიკეტი: H226, H361d, H372, H304, H411, H336, EUH066.
კობალტის საშრობი EGEDry Cobalt Oct 6 WSME (6% Co)	136-52-7 (კობალტის ბის(2-ეთილჰექსანოატი)) 64742-82-1 (ნაფტა)	≥ 0,1 – < 1	პროდუქტის ეტიკეტი: H226, H360FD, H372, H304, H400, H411, H319, H317, H336, EUH066. შეიცავს აგრეთვე კობალტის პროპიონატს და თუთიის ბის(2-ეთილჰექსანოატს).
დისპერგატორი Pulcra DS 963	64742-47-8 (ეტიკეტის მიხედვით: ჰიდროდამუშავებული მსუბუქი დისტილატი)	≥ 0,1 – < 1	მოსალოდნელი asp .tox 1 H304
სოიას ლეციტინი ADLEC Standard (ADM)	8002-43-5	≥ 0,1 – < 1	H304
სრიალისა და გასწორების დანამატი		≥ 0,1 – < 1	

შემცველობა მოცემულია დიაპაზონებით. H-ფრაზების სრული ტექსტი იხ. სექცია 16.

საშრობების შეფასება: ლითონის შემცველობიდან გაანგარიშებით ნარევში კალციუმის ბის(2-ეთილჰექსანოატი) ≈ 0,16%, კობალტის ბის(2-ეთილჰექსანოატი) ≈ 0,09%. ორივე დაბალია Repr. 1B ზოგად ზღვარზე (0,3%), ამიტომ საშრობების H360D/H360FD ნარევის კლასიფიკაციას არ იწვევს; ცირკონიუმის საშრობი Repr. 2 ზღვარს (3%) შორსაა.

სექცია 4. პირველი დახმარების ზომები

4.1 პირველი დახმარების ზომების აღწერა

ჩასუნთქვა	გაიყვანეთ დაზარალებული სუფთა ჰაერზე და უზრუნველყავით სიმშვიდე. სუნთქვის გაძნელების, თავბრუსხვევის ან გახანგრძლივებული სიმპტომების შემთხვევაში მიმართეთ ექიმს.
კანთან კონტაქტი	მოიხსენით დაბინძურებული ტანსაცმელი. კანი უხვად ჩამოიბანეთ წყლითა და საპნით. კანის გასაწმენდად არ გამოიყენოთ გამხსნელები ან თინერი. გაღიზიანების ან ალერგიული რეაქციის შემთხვევაში მიმართეთ ექიმს.
თვალთან კონტაქტი	გამოავლეთ თვალები წყლით მინიმუმ 15 წუთის განმავლობაში, ქუთუთოები კარგად გაშალეთ. მოიხსენით კონტაქტური ლინზები. მიმართეთ ექიმს.

გადაყლაპვა	ღებინება არ გამოიწვიოთ (ასპირაციის საფრთხე). პირი გამოავლებინეთ წყლით. დაუყოვნებლივ მიმართეთ ექიმს ან ტოქსიკოლოგიურ ცენტრს, აჩვენეთ ეტიკეტი ან ეს ფურცელი.

4.2 ყველაზე მნიშვნელოვანი სიმპტომები და ეფექტები

თვალისა და კანის გაღიზიანება, კანის გამოშრობა და გაბზარვა; ორთქლის მაღალი კონცენტრაციისას თავის ტკივილი, ძილიანობა, თავბრუსხვევა. გადაყლაპვისას გამხსნელის ასპირაციამ შეიძლება გამოიწვიოს ფილტვების დაზიანება. მგრძნობიარე პირებში (MEKO, კობალტის საშრობი) შესაძლებელია ალერგიული კონტაქტური დერმატიტი.

4.3 დაუყოვნებელი სამედიცინო დახმარებისა და სპეციალური მკურნალობის აუცილებლობა

სიმპტომური მკურნალობა. ღებინების პროვოცირება არ არის რეკომენდებული.

სექცია 5. ხანძარსაწინააღმდეგო ზომები

5.1 ჩამქრობი საშუალებები	შესაფერისი: ქაფი, ნახშირორჟანგი (CO2), ჩამქრობი ფხვნილი, წყლის წვრილი შხეფი (ჭურჭლის გასაგრილებლად). შეუფერებელი: წყლის მძლავრი ჭავლი (ხანძარს გაავრცელებს).
5.2 სპეციალური საშიშროებები	აალებადია. ორთქლი ჰაერზე მძიმეა, შეიძლება გავრცელდეს ანთების წყაროსკენ და უკან აალდეს. გახურებისას ჭურჭელი შეიძლება გასკდეს. წვისას წარმოიქმნება CO, CO2, კვამლი, აზოტისა და ლითონების ოქსიდები.
5.3 რჩევები მეხანძრეებისთვის	გამოიყენეთ დამოუკიდებელი სასუნთქი აპარატი და სრული დამცავი ტანსაცმელი. ხანძრის ზონაში მოქცეული ჭურჭელი გააგრილეთ წყლის შხეფით. ჩაქრობის წყალი არ გაუშვათ არხში ან წყალსატევში.

სექცია 6. ზომები შემთხვევითი გაბნევისას

6.1 პერსონალური ზომები	მოაშორეთ ყველა ანთების წყარო. უზრუნველყავით ვენტილაცია. გამოიყენეთ დამცავი საშუალებები (სექცია 8). არაუფლებამოსილი პირები გაიყვანეთ ზონიდან. გაითვალისწინეთ სრიალის საფრთხე.
6.2 გარემოს დაცვა	არ დაუშვათ ნიადაგში, კანალიზაციაში, ზედაპირულ ან გრუნტის წყლებში. მნიშვნელოვანი გაჟონვისას შეატყობინეთ შესაბამის ორგანოებს.
6.3 ლოკალიზაცია და გაწმენდა	შეაგროვეთ ინერტული შთამნთქმელით (ქვიშა, დიატომიტი, უნივერსალური შთამნთქმელი). გამოიყენეთ ნაპერწკალგაუმტარი ხელსაწყოები. მოათავსეთ მარკირებულ დახურულ კონტეინერში. დაბინძურებული ჩვრები შეინახეთ წყალში ან დახურულ ლითონის ჭურჭელში (თვითაალების საფრთხე).
6.4 მითითება სხვა სექციებზე	პერსონალური დაცვა: სექცია 8. ნარჩენების მართვა: სექცია 13.

სექცია 7. მოპყრობა და შენახვა

7.1 უსაფრთხო მოპყრობის ზომები

- იმუშავეთ კარგად ვენტილირებულ ადგილას ან ლოკალური ამოწოვით.
- ანთების წყაროები და მოწევა აკრძალულია. გამოიყენეთ დამიწებული, ფეთქებადუსაფრთხო მოწყობილობა და ნაპერწკალგაუმტარი ხელსაწყოები; მიიღეთ ზომები სტატიკური მუხტის წინააღმდეგ.
- თავიდან აიცილეთ ორთქლისა და შესხურების ნისლის ჩასუნთქვა, კანთან და თვალთან კონტაქტი.
- სამუშაო ადგილზე არ ჭამოთ, არ დალიოთ და არ მოწიოთ. სამუშაოს შემდეგ დაიბანეთ ხელები.

- ალქიდით დასველებული ჩვრები და საწმენდი მასალა სამუშაო დღის ბოლოს გაიტანეთ, შეინახეთ წყალში ან დახურულ ლითონის ჭურჭელში; გროვად არ დააგროვოთ.
- გამშრალი ფენის შლიფვისას გამოიყენეთ მტვრის ამწოვი და სასუნთქი დამცავი საშუალება.

7.2 უსაფრთხო შენახვის პირობები, შეუთავსებლობის ჩათვლით

- შეინახეთ გრილ, კარგად ვენტილირებად ადგილას, პირდაპირი მზის სხივებისა და სითბოს წყაროებისგან მოშორებით, მჭიდროდ დახურულ ორიგინალ ჭურჭელში.
- შეინახეთ ძლიერი მჟანგავებისგან განცალკევებით.
- დაიცავით აალებადი სითხეების შენახვის ხანძარსაწინააღმდეგო მოთხოვნები.
- შენახვის ტემპერატურა: 5 დან 35 ცელსიუსამდე მდეშენახვის ვადა ორიგინალ შეფუთვაში: 12 თვე5

7.3 კონკრეტული საბოლოო გამოყენება

იხ. სექცია 1.2.

სექცია 8. ზემოქმედების კონტროლი/პირადი დაცვა

8.1 საკონტროლო პარამეტრები

კომპონენტი	ზღვარი	წყარო
ნავთი (ნახშირწყალბადის ორთქლი)	200 მგ/მ³ (TWA, კანით შეღწევა)	ACGIH (საინფორმაციო)
ნახშირბადის შავი	3 მგ/მ³ (ინჰალირებადი ფრაქცია, TWA)	ACGIH (საინფორმაციო)
კობალტი და მისი არაორგანული ნაერთები (როგორც Co)	0,02 მგ/მ³ (TWA)	ACGIH (საინფორმაციო)

8.2 ზემოქმედების კონტროლი

საინჟინრო კონტროლი	ლოკალური ამოწოვა და ზოგადი ვენტილაცია; ფეთქებადუსაფრთხო ელექტრომოწყობილობა. ორთქლის კონცენტრაცია დაიცავით ფეთქებადობის ქვედა ზღვარზე დაბლა.
თვალისა და სახის დაცვა	დამცავი სათვალე გვერდითი დაცვით (EN 166); შესხურებისას სახის დამცავი.
ხელების დაცვა	ქიმიურმედეგი ხელთათმანები (EN ISO 374), მაგ. ნიტრილის რეზინა
კანისა და სხეულის დაცვა	ანტისტატიკური დამცავი ტანსაცმელი (EN 1149), დახურული დამცავი ფეხსაცმელი.
სასუნთქი გზების დაცვა	საკმარისი ვენტილაციისას არ არის საჭირო. შესხურებისას ან არასაკმარისი ვენტილაციისას: ნახევრადნიღაბი A ტიპის (ორგანული ორთქლის) ფილტრით კომბინაციაში P2/P3 ნაწილაკების ფილტრთან (EN 14387).
გარემოს ექსპოზიციის კონტროლი	არ დაუშვათ გარემოში გაფრქვევა (სექცია 6.2 და 12).

სექცია 9. ფიზიკური და ქიმიური თვისებები

9.1 ძირითადი ფიზიკური და ქიმიური თვისებები

აგრეგატული მდგომარეობა	სიბლანტიანი სითხე
ფერი	შავი
სუნი	ნახშირწყალბადული (ნავთისმაგვარი), დამახასიათებელი

დნობის/გაყინვის წერტილი	არ არის განსაზღვრული
აალებადობა	აალებადი სითხე
ფეთქებადობის ქვედა/ზედა ზღვარი	არ არის განსაზღვრული
ანთების ტემპერატურა	მოსალოდნელია > 23 და ≤ 60 °C]
თვითაალების ტემპერატურა	არ არის განსაზღვრული
დაშლის ტემპერატურა	არ არის განსაზღვრული
pH	არ ვრცელდება (არაწყლიანი სისტემა)
ხსნადობა	წყალში პრაქტიკულად უხსნადია; ერევა ნახშირწყალბადულ გამხსნელებს
განაწილების კოეფიციენტი (n-ოქტანოლი/წყალი)	არ ვრცელდება ნარევისთვის
სიმკვრივე 20 °C-ზე	დაახლ. 1,05 გ/სმ³
ფარდობითი ორთქლის სიმკვრივე	> 1 (ჰაერზე მძიმეა)
ნაწილაკების მახასიათებლები	არ ვრცელდება (თხევადია)

9.2 სხვა ინფორმაცია

აქროლადი ორგანული ნაერთები (VOC)	450-500 გ/ლ
არააქროლადი ნივთიერებების შემცველობა	45%

სექცია 10. სტაბილურობა და რეაქტიულობა

10.1 რეაქტიულობა	ჩვეულებრივ პირობებში საშიშად რეაქტიული არ არის.
10.2 ქიმიური სტაბილურობა	სტაბილურია რეკომენდებულ პირობებში შენახვისას და გამოყენებისას.
10.3 საშიში რეაქციების შესაძლებლობა	ორთქლი ჰაერთან ფეთქებად ნარევს ქმნის. ძლიერ მჟანგავებთან შეიძლება მოხდეს ძლიერი რეაქცია.
10.4 თავიდან ასაცილებელი პირობები	სითბო, ნაპერწკლები, ღია ცეცხლი, სტატიკური მუხტი, პირდაპირი მზის სხივები.
10.5 შეუთავსებელი მასალები	ძლიერი მჟანგავები, ძლიერი მჟავები და ტუტეები.
10.6 საშიში დაშლის პროდუქტები	წვისას: CO, CO2, აზოტისა და ლითონების ოქსიდები. გაშრობისას ალქიდი გამოყოფს სითბოს (ჟანგვითი პოლიმერიზაცია), რაც ჩვრებში თვითგახურების მიზეზია.

სექცია 11. ტოქსიკოლოგიური ინფორმაცია

11.1 ინფორმაცია ტოქსიკოლოგიური ეფექტების შესახებ

ნარევზე ტოქსიკოლოგიური ტესტები ჩატარებული არ არის; შეფასება ეფუძნება კომპონენტების მონაცემებს.

კანის კოროზია/გაღიზიანება	არ არის კლასიფიცირებული. განმეორებადმა კონტაქტმა შეიძლება გამოიწვიოს კანის გამოშრობა და გაბზარვა (EUH066).

თვალის სერიოზული დაზიანება/გაღიზიანება	არ არის კლასიფიცირებული.
სასუნთქი გზების ან კანის სენსიბილიზაცია	ნარევი არ არის კლასიფიცირებული. შეიცავს ბუტანონის ოქსიმს და კობალტის საშრობს, შეიძლება გამოიწვიოს ალერგიული რეაქცია მგრძნობიარე პირებში (EUH208).
ჩანასახოვანი უჯრედების მუტაგენურობა; კანცეროგენულობა; რეპროდუქციული ტოქსიკურობა	არ არის კლასიფიცირებული (კონცენტრაციები კლასიფიკაციის ზღვრებზე დაბალია) ნახშირბადის შავი: IARC ჯგუფი 2B ჩასუნთქული მტვრისთვის; თხევად ნარევში შეკავშირებულია, რისკი მხოლოდ მტვრის წარმოქმნისას.
STOT — ერთჯერადი ზემოქმედება	ორთქლის მაღალმა კონცენტრაციამ შეიძლება გამოიწვიოს ძილიანობა და თავბრუსხვევა (H336).
STOT — განმეორებადი ზემოქმედება	არ არის კლასიფიცირებული.
ასპირაციის საშიშროება	ნარევი არ არის კლასიფიცირებული სიბლანტის გამო. გადაყლაპვისას გამხსნელის ასპირაცია მაინც შესაძლებელია.

11.2 ინფორმაცია სხვა საშიშროებებზე

ენდოკრინულ სისტემაზე მოქმედი თვისებები: ≥ 0,1% კონცენტრაციით ასეთი კომპონენტი არ არის ცნობილი.

სექცია 12. ეკოლოგიური ინფორმაცია

12.2 მდგრადობა და დეგრადაცია	ალქიდური ფისი ნაწილობრივ ბიოდეგრადირებადია; ნახშირწყალბადული გამხსნელი აორთქლდება და ატმოსფეროში იშლება.
12.4 მობილურობა ნიადაგში	წყალში უხსნადობის გამო ნაკლებად მობილურია.
12.5 PBT და vPvB შეფასების შედეგები	ნარევი არ შეიცავს PBT/vPvB ნივთიერებებს ≥ 0,1%
12.6 ენდოკრინულ სისტემაზე მოქმედი თვისებები	ცნობილი ენდოკრინული დარღვევის მქონე კომპონენტი ≥ 0,1% კონცენტრაციით არ არის.
12.7 სხვა არასასურველი ეფექტები	არ დაუშვათ წყალსაცევებსა და კანალიზაციაში.

სექცია 13. ნარჩენების განთავსების ზომები

13.1 ნარჩენების დამუშავების მეთოდები

- ნარჩენი პროდუქტი და დაბინძურებული ჭურჭელი განიხილება სახიფათო ნარჩენად. გადააბარეთ ლიცენზირებულ ორგანიზაციას.
- არ ჩაუშვათ კანალიზაციაში და არ განათავსოთ ჩვეულებრივ ნარჩენებთან ერთად.
- არაცარიელი ჭურჭელი არ დაწვათ და არ გაჭრათ შედუღებით ან სხვა სითბური ზემოქმედებით.
- (დაბინძურებული ჩვრები და შთამნთქმელები). საბოლოო კოდს განსაზღვრავს ნარჩენის წარმომქმნელი.

სექცია 14. ტრანსპორტირების ინფორმაცია

14.1 UN ნომერი	1263 (ADR/RID/ADN, IMDG, IATA)

14.2 გადაზიდვის სათანადო დასახელება	PAINT (საღებავი)
14.3 ტრანსპორტირების საშიშროების კლასი	3 (აალებადი სითხეები), ეტიკეტი 3
14.4 შეფუთვის ჯგუფი	III
14.5 საშიშროება გარემოსთვის	არა
14.7 ნაყარი ტრანსპორტირება IMO დოკუმენტების მიხედვით	არ ვრცელდება (გადაიზიდება შეფუთული სახით).

სექცია 15. მარეგულირებელი ინფორმაცია

15.1 უსაფრთხოების, ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის რეგულაციები

- რეგულაცია (EC) No 1907/2006 (REACH), დანართი II, შესწორებული რეგულაციით (EU) 2020/878.
- რეგულაცია (EC) No 1272/2008 (CLP).
- დირექტივა 2004/42/EC (დეკორატიული საღებავების VOC შეზღუდვა): გაანგარიშებითი VOC ≈ 320–340 გ/ლ; ხსნარზე დაფუძნებული საღებავებისთვის ზღვარი კატეგორიის მიხედვით დაახლ. 300–500 გ/ლ

15.2 ქიმიური უსაფრთხოების შეფასება

ნარევისთვის ქიმიური უსაფრთხოების შეფასება ჩატარებული არ არის.

სექცია 16. სხვა ინფორმაცია

ცვლილებები	რედაქცია 1.1: დაზუსტებულია ნედლეულის ეტიკეტების მონაცემებით (19.09.2026). რედაქცია 1.0: პირველი გამოცემა.
კლასიფიკაციის მეთოდი	გაანგარიშებითი, ნარევის კომპონენტების ინფორმაციის საფუძველზე (CLP).
H-ფრაზების სრული ტექსტი	H226 — აალებადი სითხე და ორთქლი. H304 — შეიძლება იყოს ლეტალური გადაყლაპვისა და სასუნთქ გზებში მოხვედრის შემთხვევაში. H312 — მავნეა კანთან კონტაქტისას. H317 — შეიძლება გამოიწვიოს კანის ალერგიული რეაქცია. H318 — იწვევს თვალის სერიოზულ დაზიანებას. H319 — იწვევს თვალის სერიოზულ გაღიზიანებას. H336 — შეიძლება გამოიწვიოს ძილიანობა ან თავბრუსხვევა. H351 — ეჭვმიტანილია კანცეროგენულობაში. H360F — შეიძლება დააზიანოს ფერტილობა. H361d — ეჭვმიტანილია, რომ შეიძლება დააზიანოს ჩაისახული ბავშვი. H412 — საზიანოა წყლის ორგანიზმებისთვის, გრძელვადიანი შედეგებით. EUH066 — განმეორებითმა კონტაქტმა შეიძლება გამოიწვიოს კანის გამოშრობა ან გაბზარვა. EUH208 — შეიცავს. შეიძლება გამოიწვიოს ალერგიული რეაქცია.

აბრევიატურები	CLP — კლასიფიკაცია, ეტიკეტირება და შეფუთვა; REACH — ქიმიკატების რეგისტრაცია, შეფასება და ავტორიზაცია; CAS — Chemical Abstracts Service; UFI — უნიკალური ფორმულის იდენტიფიკატორი; PBT/vPvB — მდგრადი, ბიოაკუმულირებადი, ტოქსიკური / ძალიან მდგრადი და ძალიან ბიოაკუმულირებადი; DNEL/PNEC — გამოთვლილი ზემოქმედების დონე ეფექტის გარეშე / პროგნოზირებადი კონცენტრაცია ეფექტის გარეშე; VOC — აქროლადი ორგანული ნაერთები; TWA — დროში შეწონილი საშუალო; ADR/IMDG/IATA — საგზაო/საზღვაო/საჰაერო გადაზიდვის წესები; EWC — ნარჩენების ევროპული კატალოგი.
რეკომენდებული ინსტრუქტაჟი	მუშაკები უნდა გაეცნონ ამ ფურცელს და გაიარონ ინსტრუქტაჟი აალებადი სითხეებით მუშაობისა და თვითაალების საფრთხეების შესახებ.
გამოყენებული წყაროები	ნედლეულის ეტიკეტები: Resitan L65802-OW; EGE Kimya EGEDry Calcium Oct 4 WS, Zirconium Oct 12 WS, Cobalt Oct 6 WSME; Pulcra DS 963; Guihua Viscor RS; GSFC Mekoxime; ADM ADLEC Standard; AFCONA-3231. რეგულაცია (EC) 1272/2008; რეგულაცია (EC) 1907/2006, დანართი II (EU 2020/878).